# საქართველოს მთავრობის
# განკარგულება

№1912 2019 წლის 30 აგვისტო ქ. თბილისი

**საქართველოს პარლამენტის 2019 წლის საშემოდგომო სესიისთვის გათვალისწინებული საქართველოს მთავრობის კანონშემოქმედებითი საქმიანობის მოკლევადიანი გეგმის საქართველოს პარლამენტში წარდგენის თაობაზე**

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის მე-100 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად:

ა) მოწონებულ იქნეს საქართველოს პარლამენტის 2019 წლის საშემოდგომო სესიისთვის გათვალისწინებული საქართველოს მთავრობის კანონშემოქმედებითი საქმიანობის თანდართული მოკლევადიანი გეგმა და წარედგინოს საქართველოს პარლამენტს.

ბ) საქართველოს პარლამენტის 2019 წლის საშემოდგომო სესიისთვის გათვალისწინებული საქართველოს მთავრობის კანონშემოქმედებითი

საქმიანობის მოკლევადიანი გეგმის შესრულების კონტროლი განახორციელოს საქართველოს მთავრობის საპარლამენტო მდივანმა.

პრემიერ-მინისტრი მამუკა ბახტაძე